

საქართველოს ენის სასკოლშითა პალატის ქეთისის სამმართველო გილოცავთ!



მთავარი ყურაშვილი— კიდევ ერთი წელი, საუკუნე, ათასწლეული გაგვიწარსულდა... ძველისა და ახლის გასაყარი კვლავინდებურად გვაფიქრებინებს: რანი ვიყავით? რას უნდა ველოდით? ძველით გულგატეხილი ახლით ვნუგაშდებით—წარსულზე დარდი მომავლის იმედს ვაგაქარვებინოთ. „განაჩენი საუკუნეებისა დაურღვეველი და შუცვლელია“, უნდა შევძლოთ თანაგრძნობითა და კეთილგანწყობით, რწმენითა და იმედით, სულის მხნეობითა და ერთურობით ვანუგეშოთ, გაგაძლიეროთ ერთმანეთი. ესაა პირობა სასურველი მერმისისა. უნდა ვირწმუნოთ—მომავალი იქნება ისეთი, როგორსაც ჩვენ შევქმნით.

უკეთესის სურვილით, იმედიანი განწყობილებით ვულოცავ ჩემს ერს ახალ წელს, ახალ საუკუნეს, ათასწლეულს ახალს! იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

ტარიელ ფუტყარაძე— გაზეთ „ქართულის“ მომკითხველო და მკითხველო! ვცდილობ, წარმოგიდგინო და გელაპარაკო თვალგასწორებით (არ მიყვარს მონოლოგი):

ასე მგონია, როცა ერთდროულად მოდის ახალი წელი, ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული, რაღაც განსაკუთრებული ხდება კაცობრიობის ისტორიის, ჩვენი სამშობლოს ბედის თუ ჩვენი მეების ჩამომერწვის თვალსაზრისით... ეს უიშვიათესი მოვლენა (ათასში ერთხელი) ხომ მაინც გვაერთიანებს თანამედროვე ადამიანებს და ერთმანეთი

ამიტომაც უნდა გვივარდეს... ჩემო თანაგონანო!

გილოცავ ჩვენში შემოსულ სამება-ახალს: წელსაც, საუკუნესაც და ათასწლეულსაც! გისურვებ, უფრო ნათლად გეგრძნოს საკუთარი რწმენის ძალა და მეტად განგეცადოს მისი მადლი; შენი ბედი სიამტყუპურად დაგეკავშირებინოს დედამამშობლოს სვესთან და პირად ურთიერთობებში უფრო მეტად ყოფილიყავი მიმტკეპელი, ვინაიდან ჩვენი სიცოცხლე ძალიან ცოტაა კოსმიურ დროსთან შედარებით და გამოუვლენელი დაგვრჩება ჩვენშივე არსებული სიყვარული... ხომ ხედავ, რა სწრაფად გარბიან საუკუნეები, აგერ უკვე კიდევ ერთი ათასწლეული ესვენება ჩვენს თვალწინ



დროის კაბადონზე... საკუთარ თავსაც მძაფრად მინდა, ვუთხრა: სანამ ვართ ამ დროულ თუ სივრცულ სიმწირეში, გულღიმიანად ვიაროთ, ვინაიდან მხოლოდ სათნომყოფელ კაცს ძალუმს მოამზადოს მასზე უკეთესი მომავალი ცვლა, თაობები, რომლებიც უფრო და უფრო მიაახლოვებენ ჩვენს გენს, ერსა და სახელმწიფოს ღვთისაგან განკუთვნილ არსთან—მოუპოვებენ მყარ ადგილს დედამიწის თუ კოსმოსის ისტორიაში...

თანამდომობელი! არ გამომივიდა მხიარული მილოცვა, არა?! ზოგჯერ საახალწლო სილადეს (მით უმეტეს, ჩვენს ამჟამინდელ ყოფაში) სევდიანი, მაგრამ იმედიანი სამომავლო განწყობა სჯობს... ახალი ათასწლეულის დაწყებას გილოცავ, ქართული ენის ქომაგო!



ლოლა გაბრიამე—რა გითხრათ, რით გაგახაროთ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, რა გისურვოთ ამ ახალ წელს?

დაე, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ემრავლოს თქვენს საამაყო სახელებს, ყოველი გვერდი, ყოველი სტრიქონი იყოს თქვენი ზრდის, თქვენი გამარჯვებების, თქვენი ბედნიერების მაუწყებელი.

იოსებ იარღანაშვილი— შობა-ახალ წელს გილოცავთ!

ახალი საუკუნისა და ათასწლეულის დადგომას!

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი ეპოქის დასაბამი თქვენთვის, თითოეული ქართველისათვის! სამარადისო ერთობა, ურთიერთსიყვარული და კეთილდღეობა მოეტანოს საქართველოსთვის! მზეობითა და სიდიადით მოსდებოდეს მთელს სამყაროს ქართული სული! დაე, გვირად მოვლენოდეს საქართველოს ყოველი პატარა ქართველი!

წინსვლას, წარმატებებსა და სანუკვარი ოცნებების ასრულებას გისურვებთ! ღმერთი გვარავდეთ!


იმლიერეთ! **სოფიო სულაბერიძე**— „ქართულის“ ერთგულ მკითხველებს და არა მხოლოდ მათ!

„თინეიჯერებს“—ჭაბუკებად ქცევის იმედით, ყმაწვილებს—უცხოურის მიმდევარ „სნობებად“ არყოფნის სურვილით, უფროს თაობას—უდიდესი პატივისცემითა და მადლიერებით ყოველივე ქართულის (რა თქმა უნდა, ასევე გაზეთის)

დღეგრძელობას და კეთილდღეობას, სიჯანსაღესა და სილადეს ვუსურვებთ! საახალწლო, საახალსაუკუნეო, საახალათასწლეულო მხიარული, იმედოვანი განწყობა საუკუნოდ დაგვებედოდეს, რადგან რწმენა და სიყვარულის სურვილი, აქვს თუ არა ამის პირობა, ყველა ადამიანის შინაგანი ინსტინქტი და მოთხოვნილებაა. ვისურვებ, უფრო მძაფრად გვეგრძნოს ერთმანეთის პატივისცემისა და ერთგულების აუცილებლობა, რაც ქვეყნის, რწმენის და ჩვენი საერთო ზრუნვის საგნის—ენის სიძლიერის საფუძველი გახდება.

ყოველი განვლილი დღე მოგონებად ღირდეს, აწმყო—იდეებითა და მათი განხორციელების რეალური შესაძლებლობებით, ხოლო მომავალი ბედნიერი მოულოდნელობებით სავსე ყოფილიყოს!

მთავარი: დადებითი ენერგიით და ემოციებით მრავალ წელს გვეცხოვროს მათ!



იოსებ იარღანაშვილი, სოფიო სულაბერიძე, ლია რუსაძე, ვარლამ დათაშვილი

რად ახალგაზრდა მხცოვან დედამიწაზე!

ლია რუსაძე—სრულიად საქართველოს, გაზეთ „ქართულის“ მკითხველსა და არ თუ ვერწამკითხველს ვულოცავ ახალ: წელს, საუკუნეს, ათასწლეულს. ვუსურვებ: ისევ და ისევ ღმერთის მფარველობას, სულისა და ხორცის ძლიერებას, მშვიდობას და სასიამოვნო სიახლეებს!

ვარლამ დათაშვილი— გილოცავთ ყველას შობა-ახალ წელს!!!

სხვა ქეხი და ენები

ხად როგორ ხედებიან ახალ წელს

ახალი წელი დღესასწაულთა შორის უძველესია. იგი პირველად ბაბილონში აღნიშნეს 4 ათასი წლის წინათ. ქრისტეშობამდე 2 ათასი წლით ადრე ახალი წლის დადგომა ბაბილონელებმა 23 მარტს იზიებეს. მაშინ მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კალენდარი. თუმცა, ახალი წლის დადგომის აღნიშვნა ვახაფხულზე სრულებით ლოგიკური არჩევანია. ეს ხომ წელიწადის ის დღეა, როცა ბუნება იღვიძებს, იწყება ზენა, თევზი.

ამის შემდეგ, 2 ათასი წლის განმავლობაში, თითქმის მთელი მსოფლიო ახალი წლის დადგომას ვახაფხულზე აღნიშნავდა. ჩვენს წელიწადრიცხვამდე 46 წელს რომის იმპერატორმა, იულიუს კეისარმა, ახალი კალენდარი შეადგინა. ეს ის კალენდარია, რომელსაც დღემდე ვიყენებთ. სწორედ მაშინ დაიწყო წლის ათვლა პირველი იანვრიდან. ამ თვეს სახელი დეციანა იანვლის პატივსაცემად დაერქვა. რომაელებს სჯობდათ, რომ იანვრი ორთავიანი იყო—ერთი თავი მკვლევს აკვლავდა, ხოლო მეორე ახალს შეკვლავდა.

თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობა ახალი წლის დადგომას პირველ იანვარს აღნიშნავს. ზოგიერთმა ერმა დღემდე შეინარჩუნა წინაპართა ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც საახალწლო დღესასწაულს სულ სხვა ელემენტს ანიჭებს.

იტალიელები ახალი წლის დამეს ძველ

აქვეს ყრიან. „მკელმანებს“ ისინი, ტრადიციის თანახმად, გასული წლის დარდსა და მწუხარებას აყოლებენ. იტალიის სტუმრებს „მზრუნველი გოდები“ აფრთხილებენ, რომ ამ დროს ქუჩებში სიარული სახიფათოა. თუმცა, „მფრინავ ავეჯს“ ჯერჯერობით არავენ უმსხვერპლია, ხოლო თუ იტალიელს ჰკითხავთ რამეს ამ ჩვეულების შესახებ, იგი მრავლისმეტყველად გაგიღიმიბთ.

მსპანეთში ახალი წლის დამეს, სანამ საათი თორმეტჯერ ჩამოკრავს, იქაურები ცდილობენ, მოასწონონ ყურძნის 12 მარცვლის შეჭმა და ყველაზე სანუკვარი სურვილის ჩაფიქრება. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ნამდვილი მხიარულება და ზეიმები.

საშრანბეთში ახალ წელს შინ მხოლოდ უფროსები ხედებიან. თუმცა, ნაშუადამევე ისინი სასიეროდ და ფეიერვერკის საყურებლად ქუჩებში გამოდიან. ფრანგი ახალგაზრდობა დღესასწაულის აღნიშვნას ღამის კლუბებში, რესტორნებსა და ბარებში ამჯობინებს. დროდადრო ისინი მხიარული ფრიამულით ედებიან ქუჩებს, შემხვედრებს კანფეტებს აყრიან, მღერაინ და ათას სისუფლეს სჩადიან. საფრანგეთში მიღებულია საღამოს შეფედელოფლის ამორსევა, ამისათვის ტრადიციულ ნამცხვარში ღობიოს ერთ მარცვალს

დებენ და ვისაც ეს მარცვლი შეხვდება, მეფე ან დედოფალიც ის იქნება, პარტნიორს გამარჯვებული თავად ირჩევს.

ბულგარეთში ერთი მეტად რომანტიკული საახალწლო ტრადიცია არსებობს: როდესაც საღმრთო სუფრასთან ყველა თავის ადგილს დაიკავებს, სახლში სინათლე ქრება და იწყება „საახალწლო კონცის“ წუთები. „ბულგარულ სიბნელებს“ ყოველთვის დიდი მხიარულება და ხუმრობა ახლავს თან.

ინგლისში ახალი წლის დადგომამდე ბავშვები ბუხრის თავზე წინდებს ჰკიდებენ. ეს ტრადიცია უძველესია. ერთხელ, თურმე, სანტა კლაუსმა ერთ ღარიბ ოჯახს საკვამურში ოქროს მონეტები ჩაუყარა, ფული, რა თქმა უნდა, ნაცარში ჩაქვივებოდა და დაიკარგებოდა, ბუხარში გასამრბობად წინდები რომ არ ყოფილიყო გაფენილი. მას შემდეგ ინგლისელი ბავშვები ყოველ ახალ წელს წინდებს სიხარულით ჰკიდებენ ბუხარში—მათ სჯერათ, რომ დილით წინდები სანტა კლაუსის ჩამოყრილი საჩუქრებით სავსე დახვდებათ.

შოტლანდიაში სწამთ, რომ ახალ წელს მათ სახლში შესულ სტუმარს ოჯახისთვის იღბალი ან უბედურება მოაქვს, კარგ ნიშნად ითვლება, თუ მეკვლე წყენებურად რომ ვიქცათ! საჩუქრით ხელდამ-

შვენებული შავთმიანი მამაკაცი იქნება.

კანადაში ერთი მეტად ორიგინალური საახალწლო ჩვეულება არსებობს. იქაურები ამას „პოლარული დათვის ბანაობას“ უწოდებენ. ახალი წლის პირველ დღეს საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ათეულობით მამაკაცი თუ ქალი, ხანდაზმული თუ ბავშვი ყინულჭრილში ბანაობს. ამ მხიარულების დამნაშავე ადამიანს საერთოდ დაავიწყდება, რომ წლის ტემპერატურა ნულ გრადუსს უახლოვდება.

კუბაში ახალი წლის დღეებში ქუჩაში გამოსვლას არ გვირჩევენ. დღესასწაულით გაბრუნებული კუბელები გამვლელებს ფანჯრიდან წყალს ასხამენ. მაგრამ, თუ მაინც დასველდით, ნუ გაბრაზდებით, თავისუფლების კუნძულის მკვიდრები თავისებურად „გაგებინებენ“, რომ ძველი წელი კეთილად დასრულდა, ახალი კი ისეთივე ნათელი და ანკარა იქნება, როგორც წყალი.

ისრაელში ახალ წელს „როშ ჰაშანა“ ეწოდება. იუდაიზმის მიხედვით, ეს არის განწმენდის დღეები, როცა თითოეული მორწმუნე წარსულში ჩადენილ ცოდვებს ინანიებს და მომავალში წმინდა მცნებებით ცხოვრების აღიქმას ღებს. სინაგოგებში იმართება საეკლესიო მსახურება. ყველა ახალი ტანსაცმლით იმოსება, ცხეკება საახალწლო კვერები, მადლიანი შემოდგომის გასახსენებლად კი ებრაელები ერთმანეთს ხილს სთავაზობენ.

ჩვენ, ენა და ქრს

ქუჩამეცხილნი და უძღუნი

ქუჩაში სიარული ჩემს სამსახურებრივ მოვალეობებში შედის.

არა, ხეტილი არა... სიარული და თვალთვლება—ქარში, წვიმაში, მზიან ამინდში, ხდება, ხანდახან თოვლსა და ავდარშიც... დადიდარ და ვკითხულობ. ვკითხულობ. ყოველ აბრას, თითოეულ წარწერას. ვათვლიერებ რომელიმე ქუჩაზე ახალი აბრა ჩნდება... სადღაც ესა თუ ის შენობა ჩანს სხვაგვარი—ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ნაცნობი წარწერა აღარ არის... ასე შორდება დღეები, თვეები, წლები...

ერთად განცდილ დარს და ავდარს, პაპანაქებს და სუსსს სიასხლოვ მოაქვს. დროთა განმავლობაში აღარ უყურებ მათ, როგორც უსულო ხის დანებებს, თუნუქის ფირფიტებსა და მინისა თუ პლასტმასის მოფერადებულ ფრაგმენტებს, უსულო ასოები რომ დაქვევებითა ზედ უკვე სხვაგვარად ხედავ, სხვაგვარად განიცდი, თითქოს სულიერნი არიან... ისინი მართლა ჰგვანან ადამიანებს, ბევრი რამით ჰგვანან. სხვაგვარად ვერც იქნება—მათ ადამიანები ქმნიან და სურთ თუ არ სურთ, საკუთარი თავის მსგავსი გამოსდით ნახელავი... არ გინახავთ კონტა, ღამაზად შესრულებული გამართული წარწერა? ან მცდარი, უმინარსო აბრა, საქმით უწრთობი ხელით გამოყვანილი უპროპორციო ასოები რომ ბანცალევენ ზედ?...

ისინი ბევრი რამით ჰგვანან ადამიანებს. ყველაზე უფრო, ალბათ, იმით, რომ... აზროვნებენ. ჰო, არ გაგიკვირდეთ, აზროვნებენ! აზროვნებენ და ასე გვესაუბრებიან. ჩვენც ვგებულობთ მათ მეტყველებას. ასე რომ არ

იყოს, განა მხოლოდ თეოსოლოგიად მივხედვით გაგვევო, რომ „იმ“ სახლში ქალები ღამაზდებიან?! ქუჩა აზროვნებს და მეტყველებს თითოეული წარწერით. წარმოიდგინეთ, როგორი მდუმარე და პირქუში დარჩება ქალაქი, ყველა აბრა რომ ჩამოეხსნათ, წავშალოთ ყოველი წარწერა. მერე რამდენიც არ უნდა იხეტილოს სტუმარმა ასეთი ქალაქის უდიდებამო ქუჩებში, ვერანაირად ვერ იგონებთ და გაიგებთ ამ ქალაქის სუნთქვას, ვერ გაიგებთ, როგორ აზროვნებს და რით ცხოვრობს ეს ქალაქი...

კიდევ, ადამიანების მსგავსად, მზერა აქვთ მათ. თუ კარგად დააკვირდებით, შეძლებთ, ადამიანი ამოიკითხოთ ამ მზერაში. აი, მაგალითად, იმ აბრას მედიდური მზერა აქვს—იცის, ბევრი ფული აქვს გადახდილი პატრონს მის დაბადებაში... მაგრამ ბრიყვია—ტექსტში და შინაარსში რომ შეცდომები, არც თვითონ იცის, არც მისმა პატრონმა. ამდენი ფული კი გადაიხადეს. ახლა კი იყურება მედიდური მზერით და საკუთარი სიბრიყვის დამალვაც არ ძალუძს...

იმ აბრას კი დაბეჭდვითი მზერა აქვს, დარბული და ძველია. არადა, ჯანმრთელი წარწერა აქვს. პატრონი ვერ ამჩნევს, თორემ უამრავი რამ არის ამ მზერაში: სირცხვილი, თხოვნა, გულსწყვეტა... შევლა ყოველთვის შეიძლება.

იცით, კიდევ რითი ჰგვანან ისინი ადამიანებს? ავადმყოფობენ. მერწმუნეთ, მართლა ავად

მყოფობენ. მათი ჯანმრთელობა მართლაც ავადმყოფობის ხარისხი შეცდომაზე დამოკიდებული ტექსტშია თუ შინაარსში იგი. რაც უფრო დიდი და ბევრი შეცდომაა, ტკივილიც მეტია და ძლიერი. ზოგის ავადმყოფობა უყურებელია და შევლა მხოლოდ ახლის დაშვადებაშია. ზოგის ავადმყოფობას კი ფუნჯის ერთი მოსმაც განკურნავს. აი, როგორც მაგალითად, იმ აბრისა. პატრონს რომ უფთხარი, ამ აბრას შევლა უნდა—მეთქი, გრძობასანი სახით ასედა და „სულ ჩამოვადებო“, ჩაილაპარაკა გალიზიანებით. ამ სიტყვების შემდეგ, აბრას რომ შევებდე, ისეთ მზერას წაეაწყდი, ღამის ვინანე საკუთარი ნათქვამი. ბრიყვი იყო ის კაცი და ბრიყვეული პასუხი გამცა. არ იცის, რომ სამყაროში რაც კი რამ კეთილი და საჭირო არსებობს, ყველას და ყველაფერს აქვს უნაკლოდ არსებობის უფლება.

როცა ამ ავადმყოფობებს აკვირდები და სწავლობ, კიდევ ერთ მსგავსებას აწყდები—ადამიანის სენის მსგავსად, გადამდები შეიძლება იყოს ისინი. ერთ ავადმყოფ წარწერას, თუ დროზე არ უშველეთ, შეიძლება უამრავი სხვა წარწერა დაასწავლოს. ასე ჩნდება შემდეგ ერთნაირი აბრა—წარწერა ერთნაირი შეცდომებით. საუბედუროდ, ამას არავინ ითვალისწინებს.

ერთადერთი თვისება, რითაც ისინი განსხვავდებიან ადამიანებისგან, ის არის, რომ მათ არას-

ფრის სიხარული, არ სიხარული მზერაზე, რომელი ჭაღატი თვალდახრებულია მათი მთელი დამე ფიზიკობა. დღითაც ქოქი უმთო-ყურების და მრავლის, მრავლის მათ თვალს როლი არ ეკრება.

მაე ვადინ მათი დღეები—მართლმართი და ადამიანთა გარეუფები. ჭეჭნა-ჭეჭნა, ქუჩისათვის თუ სადმე მოეჩქარო, ნაგებობა უმჩნევთ მათ მზერას, მაც ვეხსენებენ მათი არსებობა. არადა, ჩვენ—ადამიანებს და ჩვენთვის—ადამიანებისთვის შექმნილი არის მათი მთავარი—ადამიანებისთვის შექმნილი წარმოადგენენ ჩვენთვის—როგორცაც უმთო ჩვენ, ისეთი არიან ისინი.

ისე კი, მტერი უფრო მეტი პატი მათ, ვიდრე მოკეთე ქარი, წინა, თოვლი, მზე, სეზონი კი—ყველა მათ არსებობას წინაა. ყველაზე დიდი მტერი კი მარც ადამიანთა მათთვის. ეს მაშინ, როცა უყვინი, გულგრილი და უყურადღებონი ვართ ადამიანები...

დღისით ქუჩა სმაურში ასევეს მათ, დამით—სიჩუმეში; ზამთარი—სუსსსი; ზაფხული—ხეატში. ჩვენ ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ისინი—თავისით. მუნებს შექმნილს მუნება პატრონობს, ადამიანის ნაღვეს კი ადამიანი უნდა მზროვნელობდეს. ამიტომაც არ უნდა დაგავიწყდეს ისინი. მერე რა, რომ უსულონი არიან. მათ უყრადღება და მზროვნელობა სჭირდებათ—ისინი ხომ ჩვენს გვერდით და ჩვენთვის არსებობენ—ქუჩამეცხილნი და უძღუნი...

იოსებ ბარბაქაძე

სიტყვები ჰმოცილში ანუ ენის მიხაღიკები

ქრისტეშობა +

მეორე ათასწლეული ჩამოიღვენთა ჩვენს თვალწინ. რამდენი ათასწლეული იყო ამ ორიათას პირველ წლამდე—ქრისტეს შობამდე—არავინ იცის; რამდენი ათასწლეული იქნება მომავალში, ესეც უცნობია ჩვენთვის... ფაქტია, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილისათვის დრო ორად იყოფა: ჟამი ქრისტემდე და ჟამი ქრისტეს შემდეგ. მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესოა ქართველთა ცნობიერებაში რა პრინციპითაა სახელდებული წელთაღრიცხვათა გამმიჯნავი უპირველესი დღე—მაცხოვრის ქვეყნად მოვლენის დღე... ამის გარკვევა კი ნამდვილად შეგვიძლია...



წელთაღრიცხვათა სამანი ქართულ ენასა და ქართველთა დიალექტებში რამდენიმე ფორმით გვიდასტურდება: ქრისტეშობა, ქირსე (ქრისტე), ქრისტემ/ქრისტემ და შობა. წინასწარვე ვიგყვით, რომ ქრისტე/ქირსე, ქრისტემ/ქრისტემ და შობა ქრისტეშობის შემოკლებულ (შეკვეცილ) ვარიანტებს წარმოადგენენ; ამოსავალი ვარიანტია გაკომპოზიციებული მსაზღვრელ-საზღვრული ქრისტეშობა.

ძველ საეკლესიო ტექსტებში ქრისტეს ამქვეყნად დაბადების დღეს ქრისტეშობა ჰქვია. მაგ., სინურ მრავალთავშია ასეთი ფრაზა: „აღესრულა დღესასწაული იგი ქრისტეშობისაჲ“ (ილ. აბულაძე); ძველ ტექსტებშივე მსაზღვრელის გარეშე გამოყენებული „შობა“, ზოგადად, შობას, დაბადებას ნიშნავს; ასე, მაგალითად: „შობაჲ სიბრძნისაჲ, შობა უფლისაჲ“; ან კიდევ: „რაჲმს შობის დღენი იყენს პეროდესნი...“

ქართულ დიალექტთა ერთ ნაწილში ძველი ფორმა (ქრისტეშობა) შემონახულია; დასავლურ-ქართულ დია-

ლექტებში, კერძოდ, მეგრულთა და სვანთა მეტყველებაში ამოსავალი „ქრისტეშობა“ სიტყვა შეკვეცილადა წარმოადგენილი; კერძოდ, მეგრულში; ქრისტეშობა → ქრისტე → ქირსე. სვანთა მეტყველებაში: ქრისტეშობა → ქრისტემ → ქრისტემ... შენიშვნა: არ არის გამორიცხული, რომ ქრისტემ/ქრისტემ ფორმის „შ“ ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილიც იყოს: ქრისტემ+(სგ—ძირი)... ქართველთა ზოგ დიალექტში და, ასევე, სალიტერატურო ქართულში მყარადაა დამკვიდრებული „ქრისტეშობის“ მეორე, შეკვეცილი სახეობა: „შობა“.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ხევსურულში სიტყვა-ფორმა „ქრისტეშობა“ განზოგადებულია მთლიანად „დეკემბრის თვის“ აღსანიშნავად; შდრ.: ადრეც და თანამედროვე საქართველოს ბევრ კუთხეშიც დეკემბერს „ქრისტეშობის თვეს“ ახლაც ეძახიან... ტარძილ უუტაპარამ

სახელმწიფო ენა და სკოლა

შეხვედრა უნივერსიტეტის საბაზო გიმნაზიაში

2000 წლის მიწურულს ენის სამმართველოს წარმომადგენლები უნივერსიტეტის საბაზო გიმნაზიას ესტუმრნენ. მოვლილმა შენობამ, რაც ჩვენს დროში იშვიათობად იქცა, შესელისთანავე სასიამოვნო განწყობა შეგვიქმნა. თავაზიანი მასპინძელი დირექტორის კაბინეტში შეგვიძღვა; შეხვედრა იმერული მოკითხვით—„როგორ ბრძანდებით?“ და აწმყოსთვის ჩვეული პასუხით: „სადაა ბრძანება, ჩემო ბაგონო?“—დაიწყო, რასაც უშუქობისა და უწყლობის საყოველთაო განხილვა მოჰყვა. საუბარი შეეხო გიმნაზიის სტატუსსაც. ბაგონმა მიხილ არახსიათ სურვილი გამოთქვა, გიმნაზიის საქმიანობაში მეგად აისახოს უნივერსიტეტის როლი: „ეს გიმნაზია უნივერსიტეტის საბაზო გიმნაზიაა და ურთიერთთანამშრომლობა აუცილებელია“—აღნიშნა მან. ენის სამმართველოს მეცნიერ-კონსულტანტმა, პროფესორმა გარიელ ფუტკარამემ, როგორც უნივერსიტეტის რექტორისათვის წევრმა, მასპინძელს სამომავლოდ თანადგომა აღუთქვა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ენისა და ლიტერატურის კაბინეტში გადავიხილეთ, სადაც მასპინძელი ქ-ნი ვალიდა კვირიკაშვილი, შემოფოთებული მოსწავლეები და გიმნაზიის პედაგოგები დაგვხვდნენ. დაძაბულობა ჩვენმა გამამხნეველებმა დამლმაც ვერ მოხსნა. უჩვეულო მღელვარების მიზეზი შევიგყვით, უნივერსიტეტიდან სხვა სტუმრებსაც ელოდნენ, გაკვეთილიც სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული, გაუთვალისწინებელია ცვლილებებმა უხერხულობა შექმნა.

ისაუბრა, ყურადღება გაამახვილა ზოგად-ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართებაზე, ენის როლსა და მნიშვნელობაზე ქვეყნის ერთიანობისათვის. ბავშვებს ჩვენი დამწერლობის სიძველე შეახსენა, აუხსნა, რომ ქართული ენა არ არის სასწავლო საგანი, იგი ერთიანი მუხგის მაგარებული ფენომენია. მასწავლებლებს ქართული ცნობიერების სრულყოფის აუცილებლობაზე მეტი მრუხება სთხოვა. სურვილი გამოთქვა, 2-3 მოსწავლეს ყოველ მაფხულს ორგანიზებულ დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში მიეღო მონაწილეობა. ბაგონმა გარიელმა ვაზეთ „ქართულის“ შესახებ საუბრისას ბავშვებს და პედაგოგს სარედაქციო კოლეჯისათვის თანამშრომლობა შესთავაზა.

დასასრულ, მასპინძლებს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ უსახსოვრა, რომელიც ქართული ენის სალიტერატურო ერთად სრულიად ქართველობის ზოგბაა. ბაგონმა მიხილმა საუბრის დასაწყისში მოსწავლეებს შეახსენა: „ხომ გუხუხუხობთ, ყველაზე კარგი მასწავლებელი ქართულის მასწავლებელია—თქო“. იმ დღეს გიმნაზიის პედაგოგების გარემოცვაში თვითონაც დერწმუნდით, რომ დირექტორი ამ შეფასებისას ნამდვილად არ შემდარა, თუმცა შეხვედრამ მეოფმა სხვა საგნების, მაკრამ ქართულის გულშემატკივარმა, პედაგოგებმაც არანაკლებ გავაიოცეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულით მოკლედ, გიმნაზიაში იმედისმომცემი ქართული სულიერება იგრძობდა.

ერთიანების საუკეთესო სურვილებით დავემშვიდობეთ. შთაბეჭდილებები კი, ალბათ, მესამე ათასწლეულშიც დღესაც გავხვდებით. P.S. როგორც ჩვენივენი ცნობილი ვაზდა, აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ბაგონმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ამ შეხვედრის შემდეგ საბაზო გიმნაზიას შესთავაზა ხელშეკრულების გაფორმება; ამ საგანგებო ხელშეკრულებით დაიცვებოდა ღონისძიებები, რომლებიც ნათლად წარმოაჩვენებ უნივერსიტეტის საბაზო გიმნაზიის სტატუსს... სოსო სულაბერიძე

სწავლისათვის

მსახლმრამლ-სახლმრამლის ბრუნება

ახალი წელი

წელი ცხოვრებას მარადმდევი მარ მსიტი...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

ტებში: ახალთუც (ძვ.)=თვის პირველი დღე...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

წელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს დროის მონაკვეთს...

(დასასრული)

შრი-ლანკაში ახალ წელს ერთობ უცნაურად ხედავან...

ბირმაში ახალი წლის დადგომისას ნამდვილი „წყლის ბრძოლა“ იმართება...

იპარონიაში ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დღესასწაულია...

ჩინეთში ახალი წლის დადგომას 17 იანვარსა და 19 თებერვალს შორის ახალი მთვარის დაბადებისთანავე აღნიშნავენ...

მონაწილეობას, ფარნების განუმეორებელი სილამაზის ფესტივალი...

პიტანამში ახალ წელს „ტეტ ნგუენ დანს“ ან უბრალოდ „ტეტს“ უწოდებენ...

ირანში, როგორც ყველა მუსულმანური ქვეყანა, მთვარის კალენდრით ხელმძღვანელობს...

„გილოცავთ ახალ წელს!“ ეს ფრაზა ახალი წლის დადგომიდან, სულ მცირე, ერთი კვირის განმავლობაში მაინც გაისმის...

მომზადებულია ინტერნეტის მასალაგან მიხედვით

რუსულან სალინაძე

სიტყვათა აკრიტიკა

Word search grid with letters in a crossword pattern.

წინა ნომერში გამოქვეყნებული „სიტყვათა აკრიტიკა“ პასუხები: ნამსხრევნი, მოსაწყვენი, სალოცავი, მწყრივი, ძარღვი, იგავი, დევი, ზევი, საფლავი, ბავშვი, მზილვე...

უცხო სიტყვები

სანტა-კლაუსი



გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართულ ბავშვებს კარგად ნაცნობი თოვლის ბაბუის მოლოდინში წითელ მანტიასა და ქუდში გამოწყობილი თეთრწყვერა, ბაკენბარდებიანი სანტა-კლაუსი ეწვიო.

თოვლის ბაბუის გაჩენამდე სიკეთითა და არაჩვეულებრივი გულუხვობით გამოირჩეული წმინდა, ბასილის, მოლოდინში ხედებოდნენ ჩვენი წინაპრები ახალ წელს. საბერძნეთში ახალი წლის დადგომა წმინდა ბასილის ხსენების დღეს უმთხვევია, მისი სტუმრობის იმედით ბავშვები ფეხსაცმელებს ბუხართან აწყობენ, დარწმუნებულნი, რომ წმინდანი მათ სახლებშიც მივა და ფეხსაცმელებს საიუჭრებით აუყვებს.

სანტა-კლაუსი ქართულად წმინდა კლაუსს ნიშნავს. მისი არსებობა ევროპაში წმინდა ნიკოლოზის სახელს უკავშირდება, რომელიც დასავლეთში და შემდგომ ამერიკაში გულუხვ დამსამუჭრებლად ითვლებოდა. ამერიკაში წმინდა ნიკოლოზი, მრავალი ტრადიციის მსგავსად, პოლანდიდან შევიდა (ზინტერ კლაუსი) XIX საუკუნის დასაწყისში. ამ დროიდან ნიუ-იორკში ყველწლიურად, წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეს ქუჩაში მისი ხის ჭანდაკება გამოპყრდნით და მასზე (სანტა კლაუსზე) სიმღერას შედიან.

დღემდე გავრცელებულია აზრი, რომ სანტა-კლაუსი სხილილით პოლუსზე ან შედევთში ცხოვრობს და მცდარი ვერსიაც ამერიკაში გავრცელდა 1872 წელს, როცა კლიმენტ კლეივი პეტში გამოქვეყნა ზღაპრების სერია, სადაც აღწერილია, რომ სანტა-კლაუსი სხილილით...

ლოურ ირემს მოჰყავს და იგი სახლში საკვამურიდან ჩადის.

მსოფლიოს ქვეყნებში სანტა კლაუსთან დაკავშირებული სხვადასხვა მითი გავრცელდა. აგსტრია და შვეიცარიაში დღემდე არსებობს ვერსია, ბერმა სილვესტერმა მოკლა ზღვის ურჩხული, რომელიც კაცობრიობას განადგურებით ემუქრებოდა. ხალხმა სილვესტერი წმინდანად შერაცხა. ამ ქვეყნებში საახალწლოდ ადამიანები ფანტასტიური კოსტიუმებს იცვამენ და ე.წ. „სილვესტერ კლაუსებს“ განასახიერებენ, რომელთაც ყველა ოჯახში სიხარული და ბედნიერება შეაქვთ.

სანტა-კლაუსის წითელ მანტიაში გამოწყობა ფირმა კოკა-კოლას სარეკლამო სამსახურის იდეა იყო, რეკლამისთვის მას წითელი (საფირმო ფერის) სამოსი ჩააცვეს და ხელში კოკა-კოლას ბოთლი მისცეს. მოკლე ხანში სანტა-კლაუსმაც, რეკლამის წყალობით, მსოფლიოში არსებული პოპულარობა მოიპოვა და საქართველოშიც შემოაღწია.

ფინეთის პატარა პროვინცია ლაპლანდია, რომელიც სიუხვით და სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, ჯუჯათა სამფლობელოა, იქ ახლაც ცხოვრობს სანტა-კლაუსი და მსოფლიოს ყველა კუთხიდან იღებს წერილებს. ლაპლანდიაში მოხვედრა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მასილა მომზადი სოფლიო სულაბერიძე

რედაქტორთა საბჭო:

თონა ბარბახაძე, ჯანა რუსაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), რუსულან სალინაძე, სოფიო სულაბერიძე, ტანაია შამბრიანი (მთავარი რედაქტორი), მარინა მარტოვიძე, მარინა მარტოვიძე.

დირექტორი: ლეონი ბაბრიანი, მარტოვიძე მარინა

რეგისტრაციის ნომერი: 19/06-31

ISSN 2088-9000, 980682 60608 მ. №19 ტ. 4-20-83 ელ. ფოსტა: Putkaradze@sanetk.net.ge

ვახეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკავშირდა და დაბეჭდა ვ. ტაბიძის სახ. ს/ს „სტამბაში“ მისამართით ქუთაისი, ი. ქავთავაძის გამზ. №33